

15.09.10

საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს 7 პროცენტამდე ზრდის

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა (მპკ) 2010 წლის 15 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის გაზრდის შესახებ. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 7 პროცენტით განისაზღვრა.

აგვისტოში წლიურმა ინფლაციამ 9.5 პროცენტი შეადგინა. ინფლაციის მაჩვენებლის ზრდის ძირითადი მიზეზი საგარეო ფაქტორით გამოწვეული სურსათზე ფასების მომატება იყო, რაც თავის მხრივ, საერთაშორისო ბაზრებზე ფასების მომატებამ განაპირობა. აგვისტოში ზრდა დაფიქსირდა აგრეთვე საბაზო ინფლაციის მაჩვენებლების მიხედვითაც.

კომიტეტის წინა სხდომასთან შედარებით მიმდინარე წლის ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი 6%-მდე გაიზარდა. ეკონომიკის სწრაფი ზრდა ძირითადად ფისკალური სტიმულის შედეგია, რასაც ბანკების მხრიდან დაკრედიტების ზრდაც უწყობს ხელს. აღსანიშნავია ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ზრდაც, რაც ერთობლივი მოთხოვნის ფორმირების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

მსოფლიო სასაქონლო ბაზრებზე კვლავ ფასების ზრდის ტენდენცია ფიქსირდება. ბოლო ერთი თვის განმავლობაში ხორბლის საერთაშორისო ფასი 4.3%-ით, ხოლო შაქრის ფასი 13.5%-ით გაიზარდა. აგვისტოს თვეში გაიზარდა ინფლაციის მაჩვენებლები საქართველოს ყველა მეზობელ ქვეყანაში.

ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი გარე (ეგზოგენური) ფაქტორების შედეგია და მასზე მონეტარული პოლიტიკის გავლენა შეზღუდულია. თუმცა საბაზო ინფლაციის დინამიკა ინფლაციური მოლოდინის მატებაზე მიუთითებს, რის გამოც მიზანშეწონილია მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს და მიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2010 წლის 27 ოქტომბერს გაიმართება.